

გაზეთი დარს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ხელუფლებრივი სტრიქონი „პეტრიტი“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის“ ფურცლისა რედაქციაში განქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კოსკში (ქვეშევთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდებიან.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელმძღვანელოდ უნდა გამოგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უკვეყნის გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
ჩაღმდების კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტორუხის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Пчелы-Пурцели“—„Моамბე“. **ტელეფონი № 372.**

ქართული თეატრი

გ. გ. ი. რ. ა. ს. 4 თ. გ. ე. რ. გ. ა. ლ. ს. 1901

კობა მისხის სახანოვროდ წარმოდგენილი იქნება მ. მოქმედ. კომედია

მადამის ან-ჟენ

მეფე მისხის მოწაწილობით და ერთ მოქ. კომედია

დედის ქრთა

მ. საფაროვისა და ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

მთავრობის განკარგულებანი.

უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას:
მიხეილის მეცხოველე ჯარის კაპიტანს გაბა-შვილს ებოძა პოდპოლკოვნიკობა და დათხოვნილ იქნა ავადმყოფობისა გამო სამსახურიდან.

დანიშნულ იქნა მე-20 საარტილერიო ბრი-გადის პოლკოვნიკი მ. უ. ს. ხ. ე. ლ. ა. შ. ვ. ლ. ი. კავკასიის გრენადერთა არტილერიის მე-4 ბრიგადაში.

მალაქის მომავალ არჩევანის გამო.

როგორც მკითხველმა უკვე იცის, მომავალ მისხში მოხდება არჩევნები ტფილისის საბჭოს ხმოსნებისა. იმეორიდან 80 ამორ-ჩეულ კაცს „ქალაქის პატრონებს“ ჩაება-რებათ ხელში ბედ-ილბადი მოქალაქეებისა, არა მცირედი ნაწილი ამათი დღეგრძელობისა, გონებრივი და მატერიალური განვი-თარებისა. მართალია, კანონით ფართო ასპარეზი არ აქვს თვით-მმართველობას, მაგ-რამ ქალაქის სამეურნეო ცხოვრებისათვის მის უფლებამოსიანებას შეუძლიან დიდი ნაყოფის მოტანა: სწავლა განათლება, სა-ნიტარული მდგომარეობა, საყოველთაო წეს-წყობილება, რიგი და მშვიდობიანობა საზოგადო ცხოვრებაში—აი ის საგნები, რომლებზედაც ზრუნვა კანონს მიუნიჭებია ქალაქის საბჭოსათვის. კარგი დაპატიოსანი საგნები აქვს დანიშნული თვით-მმართველო-ბას აღსასრულებლად; კარგა და პატიოსანს საქმესაც იქვს საბჭოც, თუ რიგინად და სიმართლით ასრულებს ამ თავის ვალდებულობას.

მაგრამ საქმეც ის არის გამოირკვეს, რას შეიძლება რიგინად და სამართლიანად ასრულებ-ბა თავის ვალდებულებისა. როცა კაცი აღორავს ხოლმე ამ კითხვას თეორეტიკულად, ცხოვრებაზედ მოშორებულ სფერებში, მაშინ ბაასი და კმათი ამ საგანზედ ძალიან მოკლეა: რიგაც და სამართლიანობაც უმრავლესობის ინტერესების სამსახურია; ამ აზრს თითქმის არავინ ეწინააღმდეგება; მაგრამ როცა კი საქმე ნამდვილ სამსახურზედ და საქმეზედ მიდგება, ეს სამართ-ლიანი აზრი სადღაც მიიმაღლება; იმის ალაგს დაიჭერენ ხოლმე სულ სხვა რიგის განზრ-ბანი და წადილნი: პირადი ინტერესი და სურ-ვილი, საკუთარი აღორძინება, კეთილ-დღე-ობის მოწყობა სხვის უბედურებაზედ, გაძ-ლიერება თავის ოჯახისა, უბანისა, ნათე-საობისა და მომხრეთა; უმრავლესობა კი რჩება წყალ წადებული.

სწორედ ამ ნაირს სურათს წარმოადგენს ამინდელი ტფილისის თვით-მმართველობა; მართალია, რომ ეს სურათი უმაღლითა არ არის, რომ ბევრ სხვა ქალაქებშიც სუფევს იგივე მიმართულება, და მათ უფრო სამ-წუხარაა ხსენებული მოვლენა. აუცილებე-რული საჭიროება გამოკვლეულ იქმნას, რი-

საგან წარმოსდგება ეს სამწუხარო მდგომარეობა.

ჩვენის აზრით, უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ თვითმმართველობის საქმე ვერ ვარდება ჯეროვან მოღვაწეთა ხელში; რომ ამორჩეულნი პირნი, ხმოსნები, მოკლებულნი არიან უმკვიდრეს თვისებას, რომელიც სულს უდგამს ყოველ საქვეყნო მოღვაწე-საც და საზოგადო საქმესაც: მხე და მო-მქმედ სოფარულს (активный живот). ამ კე-თილშობილურ თვისების შეძენა თითქმის რომ შეუძლებელია, იგი მოსდევს კაცს დაბა-დებითვე; სწავლა-განათლებას შეუძლიან მხოლოდ გააღვიძოს ის კაცში, განავითაროს და დააყენოს სწორე გზაზე; ნუ იტყვი, რომ ერთი წოდება ან დასი აღუ-რეილი იყოს იმ ღირსებით, მეორე სულ მოკლებულნი, თუმცა კი, რასაკვირველია, ოჯახის, ცხოვრების მიმართულებას, სა-ზოგადოებისა და მწერლობის გავლენას დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგანაც, საუ-ბედურად, ამ გვარი პირნი, საერთოდ იშვიათნი არიან, ამიტომაც მოსალოდნე-ლიც არ არის, რომ საქალაქო საქმეში ესენი გახდნენ მოთავენი; მეორეს მხრით, ვაი იმ საზოგადო დაწესებულებასა, რომე-ლიც მოკლებულია ამნაირ მოღვაწეთა—იგი უსათუოთ პირქვე დაეშობა.

სწორედ ამ მდგომარეობაშია ჩვენი დედა-ქალა ის საქმე: გულ-შემატყვიარი თითქმის არავინა ჰყავს. და თუ მოიპოვება ორიოდ-სამი ვინმე, იმათი ხმა და სურვილი იკარ-გება გულ-გრილთა და საქვეყნო საქმის დაუნდობელთა დიდ ბრბოში. მართლაცა და რას წარმოადგენს აწინდელი ტფილისის საბჭო? ბ. ხმოსნები ხან საბჭოში, ხან მწერლობაში დიდის რიხით და ტრახხით წამოიძახებენ ხოლმე: „ჩვენი საბჭო ყველა რუსეთის საბჭოზე გონება-განვითარებულია, ინტელეგენტების საბჭოა, ხმოსნები—მაღალ სასწავლებელში კურს დასრულებულნი არი-ან“. ერთის დამატება კი ავიწყლებათ ამ ვაჟებ-ტონებს: რომ დიპლომთანა უმრავლესი ნაწილი მამა-პაპის გზას დაადგა—აღებ-მი-ცემის საქმეს მიჰყვნენ, ვაჭრებად გადაიქცნენ და ვინ არ იცის, რომ ვაჭრის მთელ სი-ცოცხლეს, იმის ყოველ-დღიურ მხნეობას ერთად ერთი მიზანი აქვს: რაც შეიძლება იაფად იყიდოს და ძვირად გაჰყიდოს. პი-რადი ინტერესი, ანდაზა „ჯერ თავო-და-თავო და მერე ცოლო და შვილო“—ისე მძლავრად, შეურყევად—განუწყვეტილ არსად არ სუფევს, როგორც ამ წოდებაში. რასაკვირველია, რომ სხვა გვარი გრძო-ბანი: შებრალება უბედურთა, მეოხება გა-კირებულთა, ზრუნვა დავარდნილთა ეუ-ცხოვრებათ იმათ; რაღა თქმა უნდა, რომ სა-ქვეყნო საქმეშიც ვაჭრობას შეაქვს იგივე მიმართულება, რომლითაც ხელმძღვანე-

ლობს კერძო ცხოვრებაში. აი ორიოდ მა-გალითი აქაური საბჭოს მოქმედებიდან. როგორც ყოველი დიდი ქალაქი, ჩვენი ტფილისი შეძლებისა დავაზრად იყოფა მდი-დარ და ღარიბ უბნებად. პირველებს უჭი-რავთ შუა გული ქალაქის—ცენტრი, მე-ორეებს მოშორებული, განაპირა ადგილები. უმრავლესობა ხმოსნებისა სცხოვრობს მდიდარ უბნებში, საცა ყველას საკუთარი სახლი აქვს. საბჭოსაც და იმისაგან ამორ-ჩეულ გამგეობასაც თავისი ზრუნვა და ყუ-რადლება მიუქცევია მხოლოდ ამ მდიდარ უბნებისათვის,—იმათ მარტო ის ასსოვთ: ქუჩების მოწყობილება, იმათ განათება, გა-სუფთავება, ნავის გაზიდვა, რწყვა, გატე-ვა—აქ სულ სხვაა და განაპირა უბნებში სხვა. აქ, მაგალითად, ქუჩები უნდა დავაგონ და ნავი გაიტანონ თითონ სახლის პატ-რონებმა, მდიდერ უბნებში კი ამის ხარჯს კისრულობს საბჭო; ორი ათას თუმანზე მეტი იხარჯება ხუთიოდ ექვსი ქუჩის დასა-წმენდად. მარტო ეს ერთად ერთი მაგალი-თიც სამყოფია იმის დასამტკიცებლად, რომ ხმოსნთა უმრავლესობა მოკლებულია იმ ზნეობის ბურჯს—სამართლიანობას, ურთ-ლოთაც რიგინად ვერ გაკეთდება ვერც ერთი საქვეყნო საქმე. საქალაქო სამეურ-ნეო საქმის ყველა ნაწილში აშკარად იხატება იგივე ნაკლი; მაგრამ იმათი და-სახელება შორს წავიყვანს: აქ ვიტყვი კიდევ ორიოდ სიტყვას იმაზე, თუ რო-გორ ასრულებენ ბ. ხმოსნნი თავიანთ პირდაპირ მოვალეობას—სხდომაზე დასწ-რობას და თანამდებობის ასრულებას. ტფი-ლისის საბჭოში 80 ხმოსანია, კანონის ძა-ლით, სხდომა საბჭოში მხოლოდ მაშინ შეი-ძლება მოხდეს, როცა დამსწრე ხმოსანთა რიცხვი მესამედ მაინც არის, ე. ი. არა ნაკლებ 27. იშვიათია, რომ თუნდ ეს 27 მოვიდეს დანიშნულ კრებაზე. დიდი მეცადინეობა უნდა იხმაროს თავმჯდომა-რემ, ბევრი ტელეფონში ძახილი, მსახურთა გაგზავნა, თხოვნა და ხეყვნა—მოძიანდით, თქვენ-ლა აკლიხართ—რომ მოუყარონ თა-ვი ამ 27 კაცს და გახსნან კრება. გავა ერთი ორი საათი კრების დაწყებიდან და რამ-დენიმე მათგანი ჩუმად, ქურდულად გაიპა-რება ხოლმე საბჭოდან; დანარჩენნი, რასაკ-ვირველია, ასტებენ ყვირილს, კრება უკა-ნონაო, და ფიცხლავ ანებებენ თავს საბ-ჭოს დარბაზს; ეს გახლავთ ჩვეულებრივი სურათი ჩვენის განათლებულის საბჭოსი; სულ სხვა სანახაია იგივე კრება, როცა დანიშნულია ან არჩევანი და ან რაიმე კონ-ცესიის განხილვა, ერთი სიტყვით, როცა ან ნათესავისა, ან ახლო კაცის მატერიალუ-რი ინტერესია ჩართული მაშინ ყველა ხმო-სანი თავის ადგილას არის. ბანკირები, მე-ფაბრიკები ანებებენ თავს კონტორებს, ვაჭრები ჰკეტებენ ღუქებს და მიეჩქარებიან საბჭოსაკენ, გავათეთროთ ჩვენი კანდიდა-ბატი და გავაშვოთ მოწინააღმდეგეო. მხოლოდ კენჭის ყრის შნო და ხეირი აქვთ ამ გვარ ხმოსნებს. სხვა საქალაქო საქმეებში ისინი არც აზრით, არც მოქმედებით არავითარ მოწინააღმდეგეობას არ იღებენ. წლითი-წლობამდე სხედან თავიანთ ალაგებზედ და შესტყვიან მოთავეებს: წამოდგენენ უკანასკნელნი, ისინიც ზეზე არიან, სდგანან;—ამ მუნჯ ხმოსნებს ფეხს ვერ გაანძრევინებთ. ტყუილთა კი არ

დაარქვეს იმათ „გაწვრთნილი სპილო-ები“. რა საკვირველია, რომ საბჭოს, რომ-ლის 2/3 ნაწილს შეადგენენ ამნაირი „უმა-ნა გვამნი“, არავითარი სახელი და გავლე-რა არა აქვს არც საზოგადოებაზე, არც ქა-ლაქის გამგეობაზე და არც ამის მოხელე-ებზე: უკანასკნელნი რაც უნდათ, იმას სჩადიან.

მომავალმა არჩევანმა უნდა აიცილოს თავიდან ეს უმთავრესი შეცდომილება. ბან-კირებს, ფაბრიკანტებს და ვაჭრებს რიცხ-ვით უნდა ექიროთ უკანასკნელი ალაგი საბჭოში. უპირატესობა უნდა მიეცეთ იმ პირებს, რომელნიც არა თუ სიტყვით, არა-მედ საქმით ამტკიცებენ კაც-მოყვარეობას, საზოგადო საქმის გაუმჯობესობას; ამგვარნი პირნი მოიპოვებია ყოველ უბანში, რო-გორც ნასწავლთა, ისე შეგნებულ მდაბიო ხალხთა შორის. აი სწორედ ესენი არიან სანატრელნი მომავალ ტფილისის საბჭოსა-თვის.

ერთი კენჭოსანთაგანი

დეკლარაცია

(„რუსეთის დემოკრატიული საზოგადოებას“)

1 თებერვალი

პამბარუბი. 1 თებერვალს დაბრუნდა

ინგლისიდან ხელმწიფე მეგვიდრე დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

პაპშაბადი. რადგანაც მთელ სამხრეთ აფრიკაში ძალიან გავრცელდა სახადი, საქა-ლაქო მმართველობებმა იმიჰმართეს მთავრო-ბას თხოვნით—მიეცეს მათ ვრცელი უფლე-ბანი სანიტარულ ღონისძიებათა მისაღებად.

ბურების სამშვიდობო კომისიის თავ-მჯდომარე პიტ დევეტი, რომელიც ამ ჟე-მად კაპშტადტში იმყოფება, ცდილობს ჩა-აგონოს აფრიკანდერთა კავშირს, რომ მან აუხსნას ბურებს—ნუ მოვიდნენ კავშირისაგან ნურავითარ დახმარებას. ბურების შესევას კაპის ახალშენში და ომის გაგრძელებას დევეტი აწერს აფრიკანდერთა კონგრესზე ნათქვამ სიტყვების გავლენას; ამ სიტყვებმა დააიმედეს ბურებო, რომ პოლანდიელები შეუერთდებიან მათ, მაგრამ ეს არ მოხდაო.

პამბარუბი. ვენდერსდორფიდან ნააუე-პორტში გამხედრების დროს პოლკოვნიკმა ბაბინგტონმა ტყვედ წაიყვანა ბურების მცირე რაზმი. ბურები მედგრად იგერებდ-ნენ მტერს და დანებდნენ მას მხოლოდ მას შემდეგ, როცა მათ ბევრი მოუკლეს და დაუჭრეს.

ლიდენბურგის მცველ რაზმს წარსულ კვირას თავს დაესხნენ ბურები, მაგრამ საქ-მე მცირე შეტაკებით გათავდა. ბურებმა რამდენჯერმე ზარბაზანი ესროლეს ქალაქს და შემდეგ თოფებიც დაუშინეს, მაგრამ რადგანაც შორს იყვნენ, ქალაქს ვერაფერი ავნეს.

ბუზარამბი. მინისტრ-პრეზიდენტმა წაუ-კითხა პალატას სამინისტროს განცხადება და განმარტა, რომ, რადგანაც კრიზისის გამომწვეველი საკითხები უკუგდებულ იქმ-ნენო, ეხლა შეიძლება შეთანხმება მოხდე-სო. საქმე მარტო ბიუჯეტს კი არ ეხება, არამედ მთელის საფინანსო სისტემის შეც-ვლასო, რომელიც თანდათან უნდა მოხ-დესო.

მადრიდი. შემოღებულ იქნა სამხედრო წეს-რიგი და მართვა-გამგეობის საქმე გადაეცა სამხედრო უწყებას. ვალენსიაში და მალაგაში დიდი უწყისობა მოახდინა ხალხმა.

კავშირები. ბურების რაზმები გუშინ გადვიდნენ ორანეს მდინარეზე ფილიპსტონის ოლქში; ხმა არის, რომ მათ წინამძღვრობს ლევეტი.

კონსტანტინოპოლი. სულთანმა მიიღო რუსეთის ელჩი. აუდიენციაზე ორივე მხარემ საქორდო აღიარეს გამოცხადდნის მაკედონელთა კომიტეტის მეთაურთ, რომ მათი მეცადინეობის მოწონება არ შეუძლიან არც რუსეთს, არც ოსმალეთს, არც სხვა რომელიმე სახელმწიფოს. ოსმალეთი სასტიკად მოეპყრობა კომიტეტის წევრებს, მაგრამ არ შეაწყობეს უღანშაულო მცხოვრებთ. ამგვარი განკარგულება გაეგზავნა მაკედონიის მმართველ დაწესებულებათ. ეპისკოპოსად აკურთხებენ ფირმილიანს, მიუხედავად მაკედონელთა კომიტეტის მუქარისა.

2 თებერვალი.

ლონდონი. ჰარდამენტის განხილვის შემდეგ დიდი აზრით, ვიდრე გარდაცვალებულ დედოფლის გამოცხადების დროს. სეფუ-სიტყვაში, რომელიც შეეძინა წაიკითხა ჰარდამენტის განხილვის დროს, ჯერ აღნიშნულია ერის მღვდელთა დედოფლის გარდაცვალების გამო, ამ დედოფლისა, რომელიც მთელ ქვეყანას მკაცრად უწყევტებდა, როგორც უნდა აფასებდნენ. შეეფერებოდა სურს მის მკაცრად მისდომს. შემდეგ სეფუ-სიტყვაში ნათქვამია: „ესაუბრო და ჰარად ჩემ მწესრების დროს ნუგეშს ვაძლავთ იმას, რომ ინგლისს ეგულა სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობება აქვს. სამხრეთ-აფრიკაში იმე ჯერ არ დასრულებულა. მაგრამ მტრის ორივე სატარტო ქაღალდი და უმთავრესი გზები ჩემს ხელშია. მიდებულა დანის ძიებანი, რომელიც, როგორც მე მტკიცედ მწამს, შეძლების მისცემს ჩემს ჯარებს ნამდვილი წინააღმდეგობა გაუწიონ მებრძოლ ბურებს. მე დიდად მსწუხებ ადამიანთა სისხლის დარს და დიდად ხარჯი, რომელსაც თხოულობს ჰარტ-ზანული ომი სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების ტერიტორიაზე. ბურების მღვდელთა დამოკიდებულება მათივე ინტერესებისათვის, რადგან სანამ ისინი დამოკიდებული არ იქნებიან, შეუძლებელია სახელმწიფოებში დამყარდეს რაიანი მართვა-გამგეობა რომელიც თანასწორი უფლება უნდა მისცეს ყველა ევროპულ და მთავრულად დამოუკიდებელ მყოფს. ჰეინის დამოუკიდებლობა და ელჩების განთავსებულების საქმეში ჩემსა ინდოელმა ჯარებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს ამის შემდეგ მოჰყვა ჩინეთის მთავრობის თანხმობა იმ პირობებზე, რომელიც წარუდგინეს უცხო სახელმწიფოებში. ჯერ კიდევ არ დასრულებულა მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დასრულდეს ჩინეთში ევროპულად მოთხოვნილებანი.

მეფე ისინიებს შემდეგ ავსტრალიის შერატოულ შტატების დაარსებას და ამბობს, რომ ჰერტოვი კონფლიქტის გაუმჯობესება ავსტრალიაში ჰარდამენტის განხილვად. მეფემ გარდასწრებდა აგრეთვე გაზაფხოს ჰერტოვი ახალ ზელანდიას და კანადაში მოგზაურობისათვის. მეფე სიამოვნებას აცხადებს იმის გამო, რომ კანადა და ავსტრალია ჰარტოტულის ადრეებით მიეგებნენ სამხრეთ-აფრიკაში სამხრეთ-გამოწვევას. შემდეგ სეფუ-სიტყვა აცხადებს ამანთების აჯანყების მოსახლობის ამბავს. ნათქვამია აგრეთვე, რომ ინდოეთის ხალხის შიმშილი და გაჭირვება შეამსუბუქა თავის დროზე მოხუცმა წამებმა და იმავე დროს გამოცხადებულია მწესრება, რომ ბომბეის მხარეში კიდევ საშინელი გაჭირვებაა, რომლის შესამსუბუქებლად ეგუილივე საშუალება მიდებულა; ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში ურადდება მიტეული ხარჯების შემცირებაზე მხედრობისა და ფლტის შესახად. ახალი მეფის ტახტზე პირანება იწყებს საჭიროებას სამეფო სახლის ბიუჯეტის გადამხიჯვისას. მეფე სტოკებს ჰარდამენტის განკარგულებაში იმ საგვარეულო შემოსავლს, რომელსაც დედოფალმა სთქვა უარი. დასასრულ, სეფე სი-

ტყვა აღნიშნავს სხვა-და-სხვა სახელ-პროექტებს შინაურ საქმეებში და ჯარების მომართვის განხილვას.

პარიზი. 1 თებერვალს იმპერატორის ნიკოლოზს მეორის სახელმობაზე აგებული სახალხო სახლი დაათვალიერა ხელმწიფე იმპერატორმა.

ტობოლის გუბერნატორის კნიაზივს, ლომ-ჟინის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბარონ კორფს და ვოლოგდის გუბერნატორს ლაპა-სტარცენტინსკის ებრძანათ იყვნენ გუბერნატორებად: პირველს—ვოლოგდისა, მეორეს—ლომჟინისა და მესამეს—ტობოლისა. ვლადიმირის ვიცე-გუბერნატორს თავად ურუსოვს ებრძანა იყოს გროდნოს გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა შეჩერებულ იქნას სამი თვით გაზეთ „ნოვოსტი დნია“-ს გამოცემა.

კავშირები. აქაურს მმართველობას ცნობა მოუვიდა, რომ ქრისტიან ლევეტი და შტეინი შესეულან კაპის ახალშენში და დაუპყრათ ფილიპსტონი. გუშინ მათ თავს დაესხნენ ინგლისელთა ჯარები და განდევნეს დიდის ზარალით ქალაქიდან.

მადრიდი. ხმა არის, რომ მოსალოდნელია სამინისტრო კრიზისი, რადგანაც საერო განათლების და საზოგადო მოშაობათა მინისტრები წინააღმდეგნი იყვნენ სამხედრო წეს-რიგის შემოღებისა მადრიდში.

პორტსმუთი. სამეფო გემს ბრძანება მოუვიდა მზად იყოს მეფე და დედოფლის მოგზაურობისათვის გერმანიაში და, ალბად, დანიშიაც.

კავშირები. ორს შემთხვევაში აღმოუჩენიათ შავი ქირის ბაცილები; 12 კაცი ავად არის შავი ქირით.

რომი. კაბინეტი, როგორც ჰეიქრობენ, შესდგება შემდეგ პირებისაგან: ცანარდელი—მინისტრ-პრეზიდენტი, ჯიოლიტი—შინაგან საქმეთა მინისტრი, პრინცი—გარეშე საქმეთა მინისტრი, კონა-ორტუ—იუსტიციის მინისტრი, ვილემბერგი—ფინანსთა მინისტრი, დიბროგლიო—ხაზინის მინისტრი, —პონცა დი-სან მარტინო—სამხედრო მინისტრი, მორინი—საზღვაო მინისტრი, ნუნცია-კაზი—საერო განათლების, ჯუსსო—საზოგადო მოშაობათა, პიკარდი—მიწა-მოქმედებისა და გალიბერტი—ფოსტის მინისტრი.

პარიზი. იმპერატორმა მიჰმართა თხოვნით უცხოეთის ელჩებს—თანხმობა გამოაცხადონ, რომ დამნაშავე ჩინელმა წარჩინებულებმა თვით მოიკლან თავისი თავი. მაგრამ რადგანაც სამმა წარჩინებულმა ჩინელმა უარი განაცხადეს ამასზე, იმპერატორმა უკან წაიღო თავისი თხოვნა. შემდეგ იმპერატორმა დეპეშით აუწყა ცნის, რომ, როდესაც სამეფო ოჯახმა შეიწყარა ნოტის მოთხოვნანი, მასში აღნიშნული იყო მხოლოდ ერთგვარი დასჯა, ხოლო, თუ უმთავრესი დამნაშავენი ღირსნი არიან სიკვდილით დასჯისა, დანარჩენებს სხვა-გვარი სასჯელი უნდა დაენიშნოს. ელჩებმა უპასუხეს, რომ ნაკლებ დამნაშავენიც ღირსნი არიან სიკვდილით დასჯისა, რადგანაც სხვა სასჯელი არ არსებობს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. სპიკერი აცხადებს, რომ უცხოელ პარლამენტებისაგან სამიმორის დეპეშები მივიღეთ დედოფლის გარდაცვალების გამო, რომლებზედაც მადლობის პასუხი გავუგზავნეთ.

ფორსტერი იცავს ადრესის პროექტს და, სხვათა შორის, ამბობს: „კიდევაც რომ მოხდეს უთანხმოება ინგლისსა და გერმანიას შორის, ინგლისი მაინც ადვილად ვერ დაივიწყებს გერმანიის იმპერატორის მონაწილეობას ერის გლოვირობა-მწუხარებაში. იმპერატორის მონაწილეობა, უეჭველია, გამოწვეულია პირადის და არა პოლიტიკურის მოსაზრებით, მაგრამ ინგლისი ამასაც დიდად აფასებს. ინგლისის ერი დიდხანს არ დაივიწყებს, რომ იმპერატორი თვით დაესწრო დედოფლის დასაფლავებას. შემდეგ ორატორი და მერე აგნიუ ებებიან სამხრეთ-აფრიკის

ომის გავრცელებას. ამ სიტყვებმა გამოიწვია ირლანდიელ დეპუტატების დაცინვა, ხოლო ლევეტის ხსენებამ—თანაგრძნობის გამოცხადება.

პარლამენტი. პარტიარქი ბრანკოვიჩი დღეს წავიდა ვენაში, რათა, ავსტრიის იმპერატორის სურვილისამებრ, წესი აუგოს მილანის გვამს. პარტიარქი დაესწრება მილანის დასაფლავებას კრუშედოლის მონასტერში.

ბუდაპეშტი. ზემოთა დღეს არ მოსულა არც ერთი მგზავრი სერბიიდან. როგორც ამბობენ, პოლიციამ დააკავა ყველანი, ვინც უნრგეთში მიდიოდა.

მენა. საღამოს 10 1/2 საათზედ, პანაშვიდის შემდეგ, მილანის გვამი გასვენეს სერბთა ეკლესიაში ქუჩებზედ ჯარება იყო გამწყრივებული. კუბოს მისდევდნენ: სერბიის ელჩი ზრისტიჩი, საელოზ წევრები, მეფე ალექსანდრეს აღიუტანტი, რამდენიმე სერბიის მინისტრებად ნამყოფნი და იმპერატორის სახალის მოხელენი. ქუჩებში დიდ-ძალი ხალხი იდგა.

პარიზი. სხვა სახელმწიფოების მიხედვით, ავსტრო-უნგრეთიც ცდილობს დააარსოს ტიან-ძინში ავსტრიელთა მოსახლეობა და გაჩინოს იქ საკონსულო ავსტრიის ქვეშევრდომთა დასაცვლად. ავსტრიის ელჩის განკარგულებით, ტიანძინში ავსტრიის ჯარმა დაიჭირა ადგილი საიმპერატორო არხზე, რაიც მაშინვე აცნობეს დანარჩენ სახელმწიფოთა კონსულებს. ამ ადგილის იჯარით აღებისა ან ყიდვის შესახებ ელჩმა დაიწყო მოლაპარაკება ჩინეთთან.

პარიზი. ვალდეს-რუსო გააცივა. ღამე არ უძინია, მაგრამ საშიში არაფერი არ არის.

პარიზი. სენატმა დაამტკიცა 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ცოტადენის ცვლილებით. ამის გამო ხარჯთ-აღრიცხვა ისევ დაუბრუნდება პალატას.

მადრიდი. ასტურიის პრინცის და პრინცის კახუტის ჯვრის წერა შესრულა ტოლედოს არქი-ეპისკოპოსმა სამეფო სასახლის ეკლესიაში. საზოგადო დაწესებულებანი შემკულნი არიან დროშებით.

ლონდონი. ლორდთა პალატა ადრესის განხილვის დროს კიმბერლიმ სთქვა, რომ სამხრეთ-აფრიკაში მთავრობის უსაქიროეს საგანს შეადგენს—სძლიოს ბურების წინააღმდეგობას. ორატორს სწამს, რომ მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს საბუთიანად გამოიძიოს და გამოიკვლიოს სამხედრო სისტემის მდგომარეობა. სალისბიურმა უპასუხა, რომ უსამართლობა იქნება ომის დასრულების დაგვიანება რაიმე საკვირველ მოვლენად ჩავთვალოთ: ყველგან ასე ხდება, სადაც პარტიზანული ომი იმართება. ორატორი უჩვენებს პალატას სამხრეთ-აფრიკის და ამერიკის ომების მსგავსებას და ამბობს, რომ ამერიკის პარტიზანული ომი ოთხი წელიწადი გაგრძელდა. სამხრეთ-აფრიკაში მეტად ძნელია ომი. გაიულის კიდევ ბევრი დრო, სანამ იქ მშვიდობიანობა დამყარდება. ბურებს რომ დავუტოვოთ მცირედი დამოუკიდებლობა მართვა-გამგეობაში, ომი არასოდეს არ გათავდება. თუ ინგლისელები დარჩებიან იმ ქვეყნის ბატონებად და მბრძანებლებად, არასოდეს არ უნდა მოვლოდნეთ სრულის მშვიდობიანობის დამყარებას, რადგანაც ბურები, თუ მათ შერჩათ რამე ძალა, ყოველ ღონისძიებას იხმარებენ ახალის აჯანყების მოსახდენად. ომის შეწყვეტა მოსწავებს ახალშენების საზღვრების დაუცველად დატოვებას და გარეშე მტრის თავდასხმას. მთავრობის პოლიტიკის მოწინააღმდეგნი, რომელნიც ბურებს ტყუილ იმედებს უძრავენ, მონაწილეობას იღებენ სისხლის-ღვრის პასუხის-გებაში. პალატამ ადრესი დაამტკიცა.

(იხილე საღამოს ლემეშები მე-4 გვერდზე)

უურნალ-გაზეთებიდან

დონდონიდან დეპეშით იწყებიან: ამბობენ, რომ ჩემპარლენს ამ დღეებში თათბირი ჰქონია დიპლომატიის მეთაურებთან პანკრმანთან, კარკარტ

თან და ჯონ მარტისთან თათბირის დროს ჰარდამენტი მიჩანსტრის პოლიტიკის შეცვლაზე სამხრეთ-აფრიკის ომის საქმეში სამხრეთ-აფრიკის ჯარი უსათუოდ უნდა გადმოიყვანებოდნენ იქნას და ამასთანავე უნდა წაიშალოს ლამენტის შეიარაღება, მაშინვე ვითომ ზავის პირობანი უნდა წარუდგინონ დეპუტატებს განსახილველად. როგორც ისმის, სანამ ზავს მოლაპარაკებას იწყებდნენ, უნდათ ვითომ წინათვე ეღუდრ მიდებოდა სამხრეთ-აფრიკაში წამოიყვანონ, რასაც დიპლომატიის მეთაურები მეტად მტკიცედ თხოულობენ.


რაც უნდა დაუჯერებლად გვეჩვენოს ამისთანა ცნობა, იმას მაინც ფასი აქვს ელანდელ დროს. რადგან ფრანგული გაზ. „ფიგაროს“ ღონდონელი კორესპონდენტიც თავის მხრივ ამტკიცებს, რომ ჰარდამენტის შეკრებას შეიძლება მოუდგენელი ცვლილებანი მოჰყვეს.

როგორც სჩანს, —ამბობს ეს კორესპონდენტი—ზოგიერთებმა პოლიტიკურ მდგაწათგანმა, რომელთა სახელიც ასე ხშირად ისმის ამ უკანასკნელი წელიწად ნახევრის განმავლობაში, შეიგნეს თავიანთ შეცდომა და გონებაზედ მოვიდნენ. შეიძლება, რომ ისინი მხოლოდ იმიტომ ადარებდნენ თავიანთ შეცდომას, რომ ჰსურთ შეინარჩუნონ თავიანთ ძალა და ადგილები, მაგრამ მაინც ცხადია, რომ სახლის ბრუნვითი ტრუ მამულის სიუვარული განუღდა, გაცივდა. მართლაც, უმეტესობა ეგუილთვის ომის გუნებაზედა, მეტადვე ვაჭრების საშუალო წრე, უფრო წვრილი მოვაჭრები, რადგან ამთ სულ მცირე და ცოტა ხარჯი ჰხვდებათ როგორც ჰარდად, ისე ფულად. მაგრამ მუშები შორის, რომელნიც ამ ხარჯს თავიანთი სისხლით იხდიან, საზოგადოების უმადლეს წრეებში—დიდაცობაში და მსხვილ მოვაჭრეებ შორის, რომელნიც ომის ხარჯს იხდიან სისხლითაც და ფულითაც, ამთ შორის ომის სურვილი სწრაფად ჰქრება. სამხრეთ-აფრიკიდან დაბრუნებული 50,000 დაცრილი და ავადმყოფი ჯარის კაცი—ამ ესენი არიან უკეთესი მქადაგებელი ზავისა. ამასთანავე მთავრობასაც მეტის მეტად უჭირდება ახალი ჯარების მოკრება, მოვაჭრეებს და მოწვევების ემანთან ახალი საგანგებო ხარჯებისა, რომლებსაც მათ უსათუოდ გამოიწვევს და სხვ. და სხვა. ყველა ეს ერთად იმდენად ართულებს საქმას მდგომარეობას, რომ, უეჭველია, ეს მდგომარეობა დიდხანს ადარ გასტანს და მალე ძარეულად შეტევილებს.

ამასთანავე ფიქრები, იდეები, რომ ინგლისის მთავრობა მალე ზავს შეჰკრავს ბურებთან, თითქმის ძალიან ბევრს გაზეთში იყო გამოქვეყნებული და ესეც გამოთქმის როგორც ფრანგულ, ისე გერმანულ და რუსულ გაზეთებშიც. მაგალ., ფრანგული გაზ. „ტან“-ის ღონდონელი კორესპონდენტი სწერს შემდეგს: „ზავის სურვილი უფრო და უფრო ვრცელდება ინგლისში. იმწმუნებანი, რომ მეფე იღუვრდ VII და იმპერატორ ვილჰელმ II-ს თათბირი ჰქონდათ შესახებ იმისა, რომ ზავი რაც შეიძლება მალე იქნას შეკრული ბურებთანა. ამბობენ, რომ ამთ იმანიანი სერბი მოაგონეს, რომ როგორმე გამოიყვანონ ინგლისი იმ გაჭირვებადან, რომელშიც ის ჩავარდა სამხრეთ-აფრიკაში. ინგლისი იუი-ის პარტუგალიასაც დაეგებას ნათესაგურს და იმის გარშემო ადგილებს, ხოლო ზელს აიღებს სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებზე, ზელს იღებს იმიტომ, რომ 1885 წლის ხელ შეკრულობის ძალით, ეგუილი დახვრობა და ცვლილება სამხრეთ-აფრიკის ქვეყნების უნდა მოხდეს ყველა ევროპული სახელმწიფოების თანხმობით; და ეს სახელმწიფოები მხოლოდ ამ შემთხვევაში მისცემენ ინგლისს დაეგებას ვიდვის ნებას, თუ ინგლისი ზელს აიღებს სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებზედა.

ამ ნაირად ინგლისიც დამყოფილებული იქნება და ბურების ორადე რესპუბლიკაც თავისუფალი დარჩება. როგორც გაზეთები იუწყებიან, ვითომ სწორად ამ საგნის თათბარად დაჩნა ისე დიდ-ხანს ინგლისში პარტუგალიის მეფე.

ამას გარდა გაზეთები დიდ ურადებას აქმევენ იმ გარემოებას, რომ თვით ამის მომხრე ინგლისურ გაზეთ „ტაიმსში“ იყო გამოთქმული აზრი, რომ ზავის ჩამოგდებას უშლის, პარტუგალებს ინგლისის თავ-მოყვარებას, რადგან



თელი ქვეყანა ზავის ჩამოგდებას სურდას. სე შეეცადეს, როგორც ინგლისის სისუსტის და უძლეურობის ნიშანსა. მაგრამ ევკლიას გასუთებაში ანუგეშებენ „ტანამ“-ს და იმ ზრის გამოსთქვენ, რომ პირაქით ევკლიასი ჩაგდებას ისე შეეცადეს, როგორც ინგლისს, დიდ-სუფიონურს და დამაინურს საქმი-
ნისა, რადგანაც ინგლისმა საკმაოდ დამტკიცა ავისი ძაღვსა და შეძლება და აზვის ეჭვი რა აქვს, რომ თუ გაკრძა და სელი არ ადო მზე, ინგლისი უსათუფა აზობებს ბურესსა.
ბერს ურადებას აქვეყნებ ბეჯიის დეპუ-
ტატა მადატის დადგენილებას შესახებ იმისა, რომ ბეჯიის მთავრობამ შეაშავაბა გასწიოს ინგლისსა და ბურებს შუა. თუ რომ ინგლისის მთავრობა მართლა მონდომებულია ზავის ჩამო-
გებას, შეაშავადი მზად არისა, ამბობენ ზო-
გერთა გასუთება.
ბოლოს და ბოლოს ბერს იმედი აქვს, რომ მრეაქციის შეკრების უმაღ ინგლისის მთავ-
რობა ზავს შეეცადეს ბურებთანა.
ბერს სულ წინააღმდეგ აზრსა გამოთქვამს და დარწმუნებულია, რომ ინგლისი ხელს არ ადებს იმზე, სინამ საბოლოოდ არ დამორ-
ჩდებს ბურებსა.
ეს მრეაქციის ხომ შეიკრება, და ვანათ ამდენად გამართლება გასუთების კეთილი შედეგები.

ახალი ამბავი

◆ ჩვენ გამოგვცეს, რომ მომავალ სასო-
ლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის
შეკრებად კავკასიის საბაღონო საზოგა-
დობის მხრივ არჩეულია მთავარმართებლის
ბაქოს წევრი ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი,
ნ. ნ. სპენსერი, ა. ა. გინცერბერგი, ვ. პ. ივა-
როვი და ი. გ. ქუთათელაძე. ხოლო მევე-
ნახობის განყოფილების გამგედ არჩეულია
ბაქოსელი სარდაფის გამგე გ. ი.
გოგოლი-იანოვსკი.
◆ ხუთშაბათს, 1 თებერვალს მომხდარ
კრებაზე მომავალ გამოფენის კომიტეტმა
დაადგინა: 1) იშუამდგომლოს ზათა სამი-
ნისტროს წინაშე, რომ მომავალ გამოფე-
ნის ექსპონატები შელავათიანის ფასით იქმ-
ნენ რკინის გზით გადატანილი; 2) ეთხო-
ვოს სამიწად მოქმედო სამინისტროს და
სხვა დაწესებულებებს, რათა მათ მხრივ და-
ნიშნულ იქმნეს მომავალ გამოფენისთვის
ჯილდო, 3) გამოფენის კომისიას თ. ი. ზ.
ანდრონიკაშვილის მიანდო ზემოხსენებულ
კომიტეტმა გამოფენის საქმიების მწარმოე-
ბლის დაქირავება. შემდეგი კრება კომი-
ტეტისა მოხდება დიდმარხვის პირველ კვი-
რაში.
◆ ხუთშაბათს, 1 თებერვალს, მოხდა სხდო-
მა კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა,
რომელზედაც დაესწრო 35 წევრი. კრება
პირველად შეუდგა მომავალ შემოდგომაზე
კავკასიის მკურნალოთა კრების თავმჯდომა-
რის ერთს თანაშემწის არჩევანს; დასახლე-
ბულ იქმნენ კანდიდატად სამი წევრი: პან-
ტიუხოვი, რუდენკო და ფენომენოვი; მაგ-
რამ, რადგანაც სამივემ კენჭის ყრავე უარი
განაცხადეს, არჩევანი გადაიდო შემდეგ
სხდომისათვის. შემდეგ, კრებას უნდა განე-
ხილა ექიმის ბ-ნ არტემიევის მოხსენება,
რომლის შინაარსიც ამას წინად დაახლოვე-
ბით გავაცანით ჩვენს მკითხველებს; ზოგიერთ-
მა წევრებმა განაცხადეს, რომ, რადგანაც
ბ. არტემიევის მოხსენება ქალაქ ტფილისის
შესახებ იმდენად საყურადღებოა, რომ იგი
ყოველ მხრით უნდა აწონილ-დაწონილ იქ-
ნეს, ამიტომ საჭიროა იგი ჯერ დაიბეჭდოს.
კრებამ კარგა ხნის კამათის შემდეგ დად-
გინა დაიბეჭდოს ექიმ არტემიევის მოხსენება,
რომლის შესახებაც იქონიონ მსჯელობა
მომავალს საზოგადო სხდომაზე.
◆ ქალაქის საბჭოს მორიგ სხდომაზე
ბულო, 5 თებერვალს, განსახილველად დანი-
შნულია, სხვათა შორის, შემდეგი საქმიეობი:
1) დადგენილება ქალაქის გამგეობისა ბელო-
ვის უსახელო საზოგადოების დირექტორის
ბ-ნ რობის იმ განცხადების შესახებ, რომ-
ლითაც იგი თანხმობას აცხადებს ასესოს

ქ. ტფილისს 600,000 მ.; 2) არჩევანი 2
დეპუტატისა ქალაქის მესამე საოპოლიგაციო
სესიის ტირაჟის მოსახდენად; 3) განცხადება
ავკალიის ცხენის რკინის გზის კონცესიონე-
რებისა ამ გზის ბელგიის უსახელო საზოგა-
დობაზე გადაცემის შესახებ; 4) ქ. ტფილი-
სის 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 5) საჩი-
ვარი ბელგიის უსახელო საზოგადოების დი-
რექტორისა ქალაქის გამგეობაზე ჯარიმების
შეწერის გამო და სხვანი. სულ განსახილვე-
ლად დანიშნულია 13 საქმიე.
◆ დღეს, 4 თებერვალს, დილის 11 საათ-
ზე, მოხდება ტფილისის დურგალთა ამხანა-
გობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება.
◆ პეტერბურგიდან დეპეშით იტყობინე-
ბიან: ეკატერინოსლავის სახანო პალატის
უფროსი მიხაილოვ დანიშნა ტფილისის
სახანო პალატის უფროსად ნაცვლად პ.
ვერეტენკოვისა, რომელიც ხარკოვში გა-
დაიყვანეს. ქუთაისის ოლქის სასამართლოს
ბრალმდებლის ამხანაგი ვრასკი გადაყვანილ
იქმნა ტფილისში იმევე თანამდებობაზედ.
◆ დღეს, ნაშუადღევს პირველ საათზე,
ქვაშეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში მო-
დება მნათის ამორჩევა, რისთვისაც ხსენებუ-
ლი ტაძრის კრებული სთხოვს თავისს მრევლს,
მობრძანდნენ და მონაწილეობა მიიღოს არ-
ჩევანში.
◆ საქართველოს რუსეთთან შეერთების
ასის წლის შესრულების სახსოვროდ უგა-
ნათლებულეს თავად გრუზინსკებს გადა-
უწვევითა ააშენონ მოსკოვში ტაძარი წმ.
ნინოს სახელობაზედ. ტაძრის გეგმის შედ-
გენა მინდობილი აქვს არქიტექტორს ა.
გუნსტს. ტაძარი, რომელიც ქართულის სტი-
ლისა იქნება, აშენდება „პოკროვის“ მონას-
ტერში, სადაც დასაფლავებულია რამდენი-
მე ჩამომავალი საქართველოს მეფეთა გვა-
რისა.
◆ გავახსენებთ ჩვენს საზოგადოებას,
რომ დღეს დანიშნულია ჩვენის არტისტის
ქ. მესხის საბენეფისოდ „მადამ-სან-ჟენის“
წარმოდგენა. ამ წარმოდგენაში მადამ-სან-
ჟენის როლი უნდა ეთამაშნა ქალბ. რენე-
ლისას, მაგრამ ქალბ.-ნი რენელი ავად
გახდა და ამ როლს ითამაშებს არტისტი
ქალი ეფემია მესხი.
◆ წარსულ წლიდან კავკასიაში შემო-
ღებულია ორ პროცენტისანი სამრეწვე-
ლო გადასახადი. ჯერ დანამდვილებით
არ იციან, თუ რამდენი შემოვა ამ
ახალ გადასახადისაგან. ჩვენ შეგვიძლიან
მოვიყვანოთ ცნობები წარსულის წლის პირ-
ველ ნახევრისა. ტფილისის გუბერნიაში შე-
მოსულა—16,708 მ., ბაქოს გუბერნიაში—
8,014 მ. 85 კ., ერევნისაში—5690 მ. 70
კ., ქუთაისისაში—4,167 მ. 75 კ., განჯის-
საში—990 მ. 90 კ., ყარსისაში—5760 მ.
65 კ., დაღესტანში—3461 მ. 60 კ. და
ზაქათალისაში—184 მ. 60 კ. სულ—44,
979 მ. 50 კ., ეს ფული კი არ დაფარავს
მარტო ტფილისის გუბერნიაში მოხდენილ
ხარჯის ნახევარს.
◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმარ-
თველობის უკანასკნელ ცირკულიარში და-
ბეჭდილია შემდეგი: „კავკასიის სამოსწავ-
ლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს დადგე-
ნილებით, რომელიც დამტკიცებულია კავ-
კასიის მთავარმართებლის მიერ, გარდაწ-
ვეტილ იქმნა: იაკობ გოგებეშვილისაგან-
შედგენილი წიგნები—1) „Русское слово,
или учебное руководство к русскому язы-
ку для грузинских школъ“. часть I. под-
готовительныя ступени, издание 7, допол-
ненное და 2) იგივე წიგნი, ნაწილი II. Кни-
га для учения. издание 6-е მოწონებულ
იქმნენ, როგორც წინანდელი გამოცემანი
ამ წიგნებისა ქართულ პირველ დაწვე-
ბით სასწავლებლებში («одобрить, подобно
прежнимъ изданиямъ этихъ книгъ, въ каче-
ствѣ руководства для грузинскихъ началь-
ныхъ школъ»).

◆ მიმდინარე წლის მარტიდან განზრახ-
ვა აქვთ დაასახლონ რუსეთიდან გადმოსახ-
ლებულნი ლაგოდში სამ ადგილას.
◆ სასულიერო უწყებას განზრახვა აქვს
განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს
საეკლესიო გალობის სწავლებას ხსენებულ
უწყების სკოლებში.
◆ კავკასიის მთავარ-მართებელმა გადას-
ცა კავკასიის სამოსწავლო ოლქის გამგეო-
ბას 1000 მანეთი ღირბ მოსწავლეათვის
შემწეობის აღმოსაჩენად.
◆ როგორც გვატყობინებენ, კავკასიის
საბაღონო საზოგადოებას მიუხდია თავის
წევრის ნ. ნ. სპენსერისათვის შედგენა პოპუ-
ლიარულ სახელმძღვანელოსი ფესვების სი-
დამშაის (Dematophora necatrix) და მისთან
ბრძოლის შესახებ: ხსენებული სახელმძღვან-
ელოს საბაღონო საზოგადოება გამოს-
ტემს ქართულ ენაზედაც.
◆ ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი
„იაკობ გოგებაშვილი“, შედგენილი ზ. ქ.-
საგან; წიგნი შეიცავს 56 გვერდს და ღირს
15 კაპ.. პირველ თავში აღწერილია საქარ-
თველოს ძველი დროის სკოლებისა და სახელო-
მძღვანელო წიგნების შესახებ ცნობები. აღ-
წერილან სწანს, რომ ქართული ანბანი პირ-
ველად რომში დაბეჭდილია 1629 წელს და
მეხუთედაც იქვე—რომს 1795 წ.; ტფილის-
ში პირველად დაბეჭდილია 1710 წ. და მე-
ექვსედ 1750 წ.; რუსეთში პირველად მოს-
კოვში დაბეჭდილია 1750 წ., მეორედაც იქ-
ვე 1773 წ. და მესამედ ქ. კრემენჩუგში 1793
წელს.
◆ ბაქოს ქალაქის გამგეობაში ამ უკა-
ნასკნელ ხანებში აღიძრა საკითხი იმის შე-
სახებ, რომ გამოისყიდონ ბაქოს ცხენის
რკინის გზა ბაქოს სააქციონერო საზოგადო-
ებისაგან და მოაწყოს ისე, რომ ცხენების
ნაცვლად ტრამვას ვაგონები ელექტრონის
ძალით ამოძრავონ. ამის გამო გამგეობა ეხ-
ლავე შესდგომია მასალების შეგროვებას, თუ
როგორ უნდა განახორციელოს თავისი აზ-
რი და, სხვათა შორის, ტფილისის ქალაქის
გამგეობასაც სთხოვს მიაწოდონ ყველა ის
ცნობები, რომელიც მან შეაგროვა, როცა
მოინდომა ბელგიის უსახელო საზოგადოე-
ბისაგან გამოეყდნა ტფილისის ცხენის რკი-
ნის გზა.
◆ დღეს, 4 თებერვალს, დილის 11 საათი-
დან, ქალაქის საბჭოს ის კომისია, რომელ-
საც მინდობილი აქვს ტფილისის ცხენის
რკინის გზებზე თვალყურის გდება, შეუდ-
გება ქალაქის ტენიკოსებისა და ბ-ნ რობის
თანადსწრებით ცხენის რკინის გზების და-
თვალიერებას.
◆ გამგეობის წევრის თ. არლუთინსკის
თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ და-
ათვლიერა „ნაძალადევი“ იმის გამოსარ-
კვევად, თუ რამდენი ადგილი ქალაქის სა-
კუთრება არის კერძო პირების ხელში და
შეადგინა დაწერილებითი გეგმა ყველა ამ
ადგილებისა. არც ერთი ნაძალადეველი
არ უარყყოფს, რომ ეს ადგილები ქალაქის
საკუთრებაა და თანახმა არიან მისცენ
ქალაქს იჯარა.
◆ დღეს ვაყების პირველ გიმნაზიაში
დანიშნულია წლიური აქტი. ინსპექტორი
პ. ა. კუმსკოი წაუკითხავს ანგარიშს
1899—1900 წწ. მასწავლებელი ზაბეკიანი
წაუკითხავს მოხსენებას რუსეთის ცნობილ
პედაგოგზე—უშინსკიზე.
◆ ნავთლულის მცხოვრებთ მიუმართავთ
თხოვნით კავკასიის უმაღლეს მთავრობისა-
თვის, რათა აიძულონ ტფილისის ქალაქის
გამგეობა იზრუნოს ამ განაპირა ნაწილის
ქალაქთან ტრამვით შეერთებაზე და განა-
თებაზე და სხვა. ხარჯს ვიხდით ქალაქის
სასარგებლოდ და სრულებით უყურადღე-
ბით კი ვართ მიტოვებული, ამბობენ
ნავთლულელები. უკეთესი ილლიუსტრაცია
არ უნდა დღევანდელ ჩვენ მეთაურ წერილს.
◆ ქალაქის ტენიკოსმა აგანჯანოვმა
წარუდგინა გამგეობას პროექტი დაერდო-
მილთა და უმწუროთა თავშესაფარისა, რომ
მელიც უნდა აშენდეს გარდაცვალებულის

ზუბალაშვილის მიერ ნაანდერძევი ქონებით.
დაახლოვებით თავშესაფარი დაჯდება
79,491 მან. და 91 კაპ.
◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და-
თვლია კითხვა დიდ-საფლავისა და დამე-
ბის ქალაქად გადაკეთებისა და მათთვის
თვით-მმართველობის მიცემის შესახებ.
◆ სადამოვნო დებირტამენტს მოწერი-
ლობა გაუგზავნია ყველა დამოაზნებისთვის,
რომ იმ პირებს, რომელნიც წარმოადგენენ
ტიპოგრაფიის ან ლიტოგრაფიის გახსნის
ნება-რთვას, უფლება აქვთ მიიღონ საზღვარ
გარეთიდან აპარატები და სხვა მასალები
ახალის ნება-რთვის აუღებლად.
◆ ხუთშაბათს, 1 თებერვალს, პოლიციის მე-10
ნაწილში თავის ბინაზე, ანდრეევის ქუჩაზე, უეცრად
გარდაიცვალა კავკასიის მე-4 მსროლელთა ბატალი-
ონის უფროსი ბ-ნი ბოზჩესკი; როგორც სამხედრო
მკურნალის ბ-ნ გაბაშვილის შემოწმებით სწანს, ბოზ-
ჩესკი გულის ვახეთქით გარდაცვლილა.
◆ პოლიციის მე-4 ნაწილში მცხოვრებმა ტიტუ-
ლიარნი სოვეტნიკმა მიხეილ მოსეს ძე ყორღანოვმა
განაცხადა, რომ ხუთშაბათს, 1 თებერვალს, ღამის
10 საათზე მის შინ არყოფნის დროს ვილაც ბოროტ-
განმზრახველს მოუპარავს ორი თოფი (ერთი ორ-
ლულიანი) და ვერცხლით მოჭედილი ხმალი 75 მ.
ღირებული. ქურდი ფანჯრიდან შეპარულა. ყორ-
ღანოვს ეჭვი არავინა განუტყდალბა.
◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, ველიამინოვის ქუ-
ჩაზე, აბესლომოვის სახლში, 31 იანვარს, საღამოს
9 საათზე, შეპარულა ვილაც ბოროტ-განმზრახველი
და მოუპარავს ელისაბედ აფთანილოვისათვის შუბა
100 მან. ღირებული.
◆ ოთხშაბათს, 31 იანვარს, პოლიციის მე-7
ნაწილის მოხელეს ბ. მაჭავარიანს კახეთის ქუჩაზე
შეუპირა კიდევ ქურდ-ბაცკები, რომელთაც აღ-
მოაჩნდათ საღამო მოპარული ნივთები. ქურდები,
გამოძიებით, აღმოჩენილან ტფილისის მცხოვრებნი
ანტონა პოლოსოვი და მიხეილ ჯანაზოვი. ქურდები
დააპატიმრეს.

პროვინცია

მუთაისი. ოთხშაბათს, 31 იანვარს, საბ-
ჭომ განიხილა 29 იანვარს დაწმენილი საქმე-
ები. საბჭომ პირველად მოისმინა მოხსენება
ქუთაისში წელის მიღების მოწყობის შესახებ,
დიდი კამათი გამოაწვია იმ კითხვამ, თუ რამ-
დენი მიკროგრანაზში შეიძლება იქნეს ერთ
კუბიკურ სანტიმეტრ წყალში, რომ არ აწეინოს
ადამიანს? სამინისტროს შენიშვნებში არის ნა-
თქვამი, რომ რიცხვი მიკროგრანაზებისა არ
უნდა აღემატებოდეს 100 ერთ კუბ. სანტ.
წყალში, ბ. მისაილოვი კი ამტკიცებს, რომ
შესაძლებელია იქნეს სანტიმეტრ წყალში 300
მიკროგრანაზიმიც და მან არ აწეინოს ადა-
მიანს. პროფესორი გ. მ. პეტრიაშვილი, რა-
მელსაც ქალაქის გამგეობა დაეკითხა დეპეშით
ამ კითხვის შესახებ, იწერებს, რომ კახის გა-
მოკვლეული ესლა შეიძლება იქნეს ერთ კუბ.
სანტ. წყალში 100 მიკროგრანაზიმი, თუმცა
წინედ ეს რიცხვი ადოდა 300. ერთი სიტყვით,
გადაჭრილი არა ითქმის-რა ამ კითხვის შესახებ
და ვერც კერძო კომისიამ და ვერც საბჭომ ვერ
სთქვა დარწმუნებით ვერაფერი და არცა ის
რეაქცია, რომელიც იუო უკვე წარდგენილი
პირაბაში. პირაბის ძალით, ბ. მისაილოვი ვაფ-
დებულია მიაწოდოს მცხოვრებლებს კარგი და
უფლები წყალი. ამ გვარად თუ ქიმიურ ანა-
ლიზის შემდეგ აღმოჩნდა, რომ წყალი არ ვარ-
გა და მავნებელია, ბ. მისაილოვმა, მოუხდავად
იმისა ასი იქნება თუ ათი მიკროგრანაზიმი
ერთ კუბ. სანტ. წყალში, უნდა გასწმინდოს
და უფლებ ჰქვას უკანასკნელი.
დიდი პასი გამოაწვია აგრეთვე ბ. მისაი-
ლოვის ერთმა წინადადებამ. იგი თხოულობს,
გარდაეცეს წყლის გაუყვანის საქმე იმ ამსახვა-
ბას, რომელსაც ის ესლა აარსებს. საბ-
ჭომ, თანხმად გამგეობის მოხსენებისა, არ
შეიწყნარა ბ-ნ მისაილოვის ეს წინადადება, რა-
დგანაც ამსახვაბა ჯერ არ არსებობს და შეუძ-
ლებელია და უკანონო მიენიჭოს უფლებები
იმას, რომელიც არ არსებობს. ამ მოსახრებას
დაუთანხმა ბ-ნი მისაილოვიც და იმედი უნდა გი-
ქნობოთ, რომ ამ ცოტა ხანში შეუდგებიან ამ
საქმის განხორციელებას.
სხვა საქმეთა შორის საყურადღებოა ხმოსან
სვანძის საჩივარი. ხმოსანმა სვანძემ რამდე-

ნიმუ კითხვის გამოსარკვევად მიმართა ქალაქის გამგებანს და სთხოვა მას საქმეების გადასინჯვა და განცხადება. ბანი სწრაფად იყო წყობილი კომისიისა, რომელმაც წარუდგინა ვრცელი მოხსენება გამგებანის მოქმედების შესახებ 1898 წელს ქალაქის საბჭოს. ეს მოხსენება ირჩეოდა და ამ კითხვისთვის სთხოვა ხმოსანმა სწრაფად საქმეების განხილვის სთხოვა. ხმოსანმა სწრაფად საქმეების განხილვის სთხოვა. ხმოსანმა სწრაფად საქმეების განხილვის სთხოვა.

ბათუმი. დღეს ახალი საუკუნე თუ არა, ისე დღე არ გავა რომ სამწუხარო ამბავი არ მოხდეს. ამ დღეებში ერთი ახალგაზრდა ემწეოდა კაცი ბესარიონ ჩხეიძე, გამოსაღმეს წუთის სოფელს. ქუჩაში მიდიოდა და ვიღაც ისკანდაროვს ღაზიანს მოუვიდა; ისკანდაროვმა რე ვაფიქროვო ესრება და სისიკვდილად დასჭრა. საბრძოლო ამ დღეებში გარდაიცვალა სხვადასხვა ადამიანი. იყო და ქალების გიშნა. ზოგი დიწვეს და ესეა უარესი უბედურება დატრიალდა, დონდუკოვ-გარსკაოვის და გიორგიკის კი ქუჩების კუთხეში ორ სართულის სახლს აშენებდა ლევან ზურაბაშვი; 1 თებერვალს 15-მდე მუშა რომ სახლის შიგნით მუშაობდნენ, ჩამოიხრდა მეორე სართულის ჭერი და ქვემო მოჭეფა რამდენიმე მუშა. ორი მკვდარი ნახეს, ორიც სისიკვდილად დაშავებული და სხვები სულ ცხვირ ზარ დაშტერებული არიან. ქვეს ატირებდა ამ უბედურთა ნახვა. სახლი შენდებოდა ბერტინიდან და ჩამოხრება ალბად სინოტის გამო მოხდა.

ქალების გიშნაზიის მოთავსებას აზიანებენ სავაჟო გიშნაზიის შენობაში და სწავლაც ამ დღეებში დაიწყო.

ილიკო ანკისელი

ბაქო. 31 იანვარს გაიმართა აქ ჩვეულებრივი ქართული საღამო ჭკართ. შორის წერაკითხვის გამგებანსა და საზოგადოების სასარგებლოდ. წელს აქ ამგვარ საქმე-მოქმედება საღამოს, ზოგიერთი მიზეზების გამო, ცოტა ხალხი ესწრებოდა საზოგადოდ და ვფიქრობდით, ჩვენს საღამოებზე იქნებოდა გავლენა ის საშინელი უბედურება, რომელიც აქ ამას წინათ დატრიალდა. მაგრამ, ბოლომდე, ქართულმა საღამომ წელს ამოღებდა ხალხი მიამიდა, რომ ნ. საღამოს ბილეთი ადარ იშოვებოდა.

საღამოში მონაწილეობას იღებდნენ, სხვათა შორის, ტფილისიდან მოწვევნილი რუმინელი ორკესტრი, მომღერალი ქალ. რასიფისა და ბ. ბარათაშვილი. ორკესტრი მოქმედებდა საზოგადოებას. ქ. რასიფისა და ბ. ბარათაშვილი ისეთ ადრეუბაში მოიყვანეს დამსწრე საზოგადოება, რომ ვაშის ძახილსა და ტაშის ცემას დასასრულად.

ლი ადარ ჭქინდა. ორთავეს ბევრჯერ გახეობიანეს სხვა-და-სხვა სიმღერები. ბ. ბარათაშვილმა, გარდა იმისა, რომ ქართული სიმღერა, თარზე დაკრთიდა დიდად ასამოვნა ხალხს. მომღერლების აკომპანიტორი იყო ქ. ბარათაშვილისა. დიასახლისებმა ივენზე შეუდგნენ. დიასახლისა და ქ. ელიაშვილისა. კონცერტის შემდეგ გაიმართა ევროპული და ჩვენური ტანკა. ლეკურის მოთამაშე მოწვეული ჭეუჭათ ტფილისიდან.

სარჯო ასოც თუმანს ადამტება; შემოსავალი, თუმცა ჯერ კიდევ არ არის მოუყვანილი სრულად ცნობაში, მაგრამ სხვა წლების შემოსავალზე ნაკლები არ იქნება.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ჭეშმარიტად აქაური ქართველი ქალბატონები და ვაჟბატონები, რომლებიც ასე ერთგულად ეცადებოდნენ საზოგადო სასარგებლო საქმეს, არაერთი შრომისა და ხარჯის არ იშურებენ და უფროს წელს დიდ ფულს აგროვებენ ჩვენი ღარიბი საზოგადოებას სასარგებლოდ.

წე-ბედა.

სალამოს დებეშები

3 თებერვალი.

პატივსაცემი. 2 თებერვალს საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა პეტერბურგში დიდი პეტროვი ჰესენისა თავის ქალით პრინცესა ელისაბედით.

ბაქო. მოხელეთა კომიტეტმა და ნავთის მწარმოებლების წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს „თეთრ ქალაქში“ მომხდარ კატასტროფის გამოკვლევის შედეგი: 31 იანვრამდე ნახეს დამწვარი 11 კაცი და 7 ბავშვი, 7 ცეცხლით დაშავებული მოკვლა და 109-ს წამლობენ; დიწვეა 11 კომლი. მუშები და ხელოსნები თხოულობენ 105,000 მანეთს ზღვევას; მდელქნეები და სახლის პატრონები—154,000 მანეთისას. თუ მოთხოვნა 150 მანეთს არ აღემატება, აკმაყოფილებენ; ვინც კი ეს ფული მიიღო, სახლში მიდის; 60 კაცი უკვე წავიდა. ნანგრევებს ჯერ კიდევ სწორებენ. დამწვარ შენობათა შორის არის კასპიისა და შავი ზღვის საზოგადოების სკოლა და „ატლასის“ ქარხნის ერთი ნაწილი.

ლონდონი. კონსერვატორულ მიმართულების გაზეთები კმაყოფილნი არიან სასეფო სიტყვით. „დელი ნიუსის“ აზრით, კი ეს სიტყვა არ ახდენს შთაბეჭდილებას და ვერაფერს დააკმაყოფილებს.

იოჰანესბურგი. სამშაბათ ღამეს ბურგის მძლავრმა რაზმმა სკადა დაეგდო წყლის მილი, მაგრამ სასტიკის ბრძოლის შემდეგ იგი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო.

პაპუბადი. ბურგები თავს დაესხნენ ფილიპსტაუნს, მაგრამ უკუცეულ იქნენ.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება: „ჩვენი ჯარები, რომელნიც იმყოფებიან ფილიპსტაუნის ჩრდილოეთით, იძულებული შეიქნენ შებრძოლებოდნენ დევების ჯარს. დევები გადავიდა ორანგის მდინარე ზანდრიფთან და გაემართა დასავლეთისაკენ ცრერში, რომელიც მდებარეობს 25 მილის სიშორეზე ერმლოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. იტყობინებიან, მტრის ძლიერი რაზმი განდევნილია პიტრეტისკენ; მისი ცდამ, გავრღვია ჩვენი რაზმები, უნაყოფოდ ჩაიარა.

მადრიდი. გრანადაში, ამიკანტში და ბარსელონაში უწყევტა მოხდა. გრაფის ნაზერაშის ოჯახი საფრანგეთში გაემგზავრა.

პაპუბადი. ბურგების ჯარი დევების წინამძღოლობით სამი დღის წინად ორანგის მდინარეს გავიდნენ ზანდრიფთან. პეტროვის რაზმი ჩრდილოეთისაკენ კენგარდისაკენ. ხოლო კრიტცენგერისა და შენგერის რაზმებმა, რომელნიც შუაგულში იყვნენ დაბანაკებულნი, უკან დაიწვიეს. პირ-

ველმა მურისბურგი დაიჭირა. ამბობენ, რომ დევების რაზმთან უნდათ შეერთება.

შანხაი. გერმანიის უმათერესმა კონსულმა გამოაქვეყნა ტერიტორიის ის საზღვრები, რომელნიც დაიჭირა პეკინში საელჩომ და განაცხადა, რომ იმ გერმანელთ, რომელთაც ჰსურთ დაიკავონ ამ ტერიტორიაში ადგილები, უნდა თავისი სურვილი აცნობონ საელჩოს 12 თებერვლამდის.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ უარს ჰყოფს იმ ხმებს, ვითომ იორკის ჰერცოგი მძიმე ავადმყოფი იყოს და ამბობს, რომ ავადმყოფობა არ არის საშიში.

სოფია. რუსეთის ელჩმა ზინოვიევი უკანასკნელის აუდიენციის დროს სულთანს აცნობა მაკედონიის კომიტეტის მოქმედების შესახებ ისეთი ამბები, რომელთაც ღრმა შთაბეჭდილება გამოიწვიეს.

პეკინი. გამოაქვეყნებულია იმპერატორის ბრძანება, რომელიც გამოიცა სინანფუში 16 იანვარს. ფილოსოფიურ შესავლის შემდეგ, რომელიც ეხება ჩინეთის ისტორიულ განვითარებას იმ დროიდან, რაც მანჯურელებმა დაიპყრეს იგი, ბრძანებაში ლაპარაკია რეფორმების აუცილებლობაზე, რომელსაც ეწინააღმდეგება მოხელეთა კონსერვატიზმი და ეროვნული მედიტრობა. შემდეგ იმპერატორი სთხოვს ყველა მეფის მოადგილეებს და გუბერნატორებს, რათა მათ წარმოუდგინონ მას ორი თვის განმავლობაში პროექტები გარდასახადების შემოღებისა, ქვეყნის დაცვისა და განათლებისა.

სტანბარდონი. ვალსა და გრეილინგ-შტადტს შუა ბურგებმა ააფეთქეს მუშათა მატარებელი; სამხედრო ჯავშნიანმა მატარებელმა, რომელიც უკან მისდევდა პირველს, სროლა დაუწყო მათ; მოკლულია ორი ბური.

პაპუბადი. გენერალმა სმიტ დორიენმა დაიპყრო ამსტერდამი.

კოლსაბარგი. ბურგები გადავიდნენ ორანგის მდინარე ზანდრიფთან და მათ დაიკავეს ფილიპსტაუნისაკენ ვრცელი პოზიცია. 200 კაცი სახალშენო ჯარისა შეხვდა 1500 ბურს და გაუმაგრდა მათ, სანამ არ მიეშველა მათ ავსტრალიელების ჯარი პლუმერის უფროსობით. მტერმა, რომელიც ჯერ ნელ-ნელა მიდიოდა უკან, გუშინ სრულებით დაიხია აღმოსავლეთისაკენ; პლუმერი კვალ და კვალ მისდევს.

პრაღა. გუშინ აქედან 10 მილის სიშორეზე 50 ბურმა ინგლისელებს წაართვეს 70, ცხენი, რომლებიც ინგლისის ჯარისათვის იყო დანიშნული.

ბარლინი. რეისტაგმა მიიღო მოხსენება ჩინეთის საქმეების შესახებ. ბებელმა (სოციალისტთა) ერთგულ კიდევ გამოაცხადა პროტესტი იმ ზომების წინააღმდეგ, რომელსაც ომიანობის დროს ხმარობენ ჩინეთში. სამხედრო მინისტრმა გამოაცხადა, რომ ბებელის სიტყვები უსაფუძვლონი არიან.

ვაშინგტონი. სახაზინოს სტატ სეკრეტარმა გოჯამ გამოაქვეყნა დამოყენის მოხელეთა სახელმძღვანელოდ ცირკულიარი, რომლითაც ამერიკაში შემოსატან რუსულ ფხვილ შაქარზე დაწესებული დამატებითი ბაჟი ერთი მანეთი და 38%, კაპეიკი ცენტრზე.

პორტილსაგადი. კერძო ცნობებით, ბურგებმა ოთხჯერ ააფეთქეს ვლიანბურგის ახლო მატარებლები; უკანასკნელ დროში ბურგებს მოუტლეს 12 კაცი ინგლისის სამხედრო მატარებლიდან.

მენა. სერბიის მართლმადიდებელ ეკლესიაში აღსრულებულ სამელოვიარო წირვას დაესწრო მრავალი რიცხვი საზოგადოება, ცერემონიალის წესით წირვას დაესწრნენ საიმპერატორო ოჯახის წევრნი, იმპერატორი, რომდენიმე ჰერცოგი, დიპლომატის კორპუსი, სერბიის საელჩო, მინისტრები, კარის კაცნი, სახელმწიფო მოხელენი, სერბიის მეფის წარმომადგენელი რუმინის, მე-

ფის წარმომადგენელი, რომელიც მიიწვიეს გავას წესი აუჯო სერბიის პატრიარქმა; ბრავოვიჩმა, იმპერატორმა, ჰერცოგებმა და სხვა დამსწრე საზოგადოებამ ღერით საგლოვიარო ეტლი გამოიყენეს. ეტლი ექვსი ცხენი იყო შემბული. შემდეგ გაიქცნენ და წინ გაუშვეს პროცესია; პროცესი მიდიოდა სადგურისაკენ ქუჩებით, რომლებზედაც ჯარი იყო ჩამწკრივებული; სადგურზე კუბო ჩასვენეს ვაგონში, და მატარებელი დაიძრა კარლ ოფიცისაკენ გვიან კრუმელოლში დასაქრძალავად.

პატივსაცემი. ფინანსთა მინისტრმა გრემე საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით დაწესა შეერთებულ შტატების მრეწველობის ნაწარმოებზე მომეტებული ბაჟი. წესები შემოღებულ იქნებოდა გამოაქვეყნების შემდეგ რომ ორი კვირა გაივლის.

ეტრბურგის ბარჯა 1 თებერვალს.

გაქვალის კურსი 3 თვით:			
ლონდონზე 10 გირგ. სტ.—ში	93,90		
ბერლინზე 100 მარკაში	45,92		
პარიზზე 100 ფრანკში	37,40		
ლონდონზე ჩეკები	94,90		
ბერლინზე	46,30		
პარიზზე	37,62		
ბირჟის დისკონტი	5,6—7,9		
მეფის, გოგ. გაილ			
1% სახელმწიფო რენტა	—	96	
1 1/2% შინაგანი სესხ. 1893 წ.	99	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სააღდ. მამ. ბანკისა	—	96	
5% 1-ლ შინაგ. სესხის ვოჭებ. ბილ. 1884 წ.	—	—	333
5% მეორე შინაგ. სესხის მომ-გის. ბილ. 1866 წ.	—	—	292
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სააღდ.-მამ. ბანკისა	—	—	217
3 1/2% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	—	89
ტფილ. სააღდ.-მამ. ბანკი 5%	—	—	93
4 1/2% გირავნ. ფურც. იმავე ბანკი	86 1/2	—	
ქუთ. სააღდ.-მამ. ბანკის. 6%	—	—	
გირ. ფურც. —	100	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	92 1/2	—	
5% ოლიგოკოპო ტფ. საკუ-ლიტო საზოგ.	93 1/2	—	
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	—	

რედაქტორი გამომცემელი
ალ. ჭეიშია. ალ. ჯანაძე

გამოსაღები სწოგანი			
6 ი ს რ ი			
ხორცი ძროხისა	1	ბ.	1 1/2
სუკი	—	—	15
ცხვრისა	—	—	8 1/2
დროხისა	—	—	9-11
კამეხისა	—	—	8
დროხის ბარჯალი საფორთ	—	—	14
(ძროხისა და ცხვრის ხორცის იას ფერი ბეჭდვადეკს, კამეხის—მწვანე დროხის—ღამა).			
შური ფურცისა	I	ხარ.	1 გირ. 5
„ „ „ „	II	„ „	3 1/2
„ „ „ „	III	„ „	3
იგვე თორხისა	I	„ „	5
„ „ „ „	II	„ „	4
„ „ „ „	III	„ „	3 1/2
ღაფაში ჯგ. მამ.	I	„ „	6
„ „ „ „	II	„ „	4

განცხადებანი

დაიგამა და გამოვიდა განაყიდად

ლექსეზი

დავით გაბრუაშვილი

ფასი სუთი შაური.

ვინც ოც ცალზე მეტს იყიდის ნალზე, მანეთზე ხუთი შაური დაეთმობა.

უმათერესი საწყობი: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

(10—5)